ოქმი #3

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2026 წლის 22 აპრილის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: თ. ქადეიშვილი (საბჭოს თავ-რე), მ. აშორდია, თ ბუჩუკური, ლ. ეფრემიძე, ა. კვინიხიძე, ი. კიღურაძე, გ. ლავრელაშვილი, ბ. მესაბლიშვილი, ა. მესხი, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, გ. ციციშვილი, ო. ჭკადუა, მ. ჯიბლაძე, გ. ჯორჯაძე, ო. ჯოხაძე (სამეცნიერო საბჭო შედგება 28 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 16 წევრი).

დღის წესრიგი:

1. ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისთვის საკონკურსო კომისიის შექმნა.

მოისმინეს: ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2026 წლის 3 აპრილს გამოცხადდა კონკურსი თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამსახურში მისაღებად (*თსუ რექტორის 2026 წლის 25 მარტის # 65/01-01 ბრძანება*). კერძოდ, კონკურსი გამოცხადდა შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:

ალგებრის განყოფილება:

უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ თსუ რექტორს დასამტკიცებლად წარუდგინოს თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია.

საკონკურსო კომისიის წევრობის კანდიდატებად დასახელდნენ: თორნიკე ქადეიშვილი, ბაჩუკი მესაბლიშვილი, მამუკა ჯიბლაძე.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე. ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

1) წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტ-ის რექტორს დასამტკიცებლად თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. **თორნიკე ქადეიშვილი** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის გეომეტრიისა და ტოპოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
2. **ბაჩუკი მესაბლიშვილი** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
3. **მამუკა ჯიბლაძე** - თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ლოგიკის განყოფილების ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

2) თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციაა ზემოთ აღნიშნული საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე იყოს თ. ქადეიშვილი, თავმჯდომარის მოადგილე - ბ. მესაბლიშვილი, ხოლო კომისიის მდივანი - მ. ჯიბლაძე.

საბჭოს თავმჯდომარე თ. ქადეიშვილი

სწავლული მდივანი ო. ჯოხაძე